სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

LEPL - Livelihood Agency

0177 თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ა
15a Tamarashvili st. 0177, Tbilisi, Georgia

(995 32) 214 02 41/42/43
www.livelihood.gov.ge
info@livelihood.gov.ge

ქ. თბილისი

18 იანვარი, 2018 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი

ბრძანება N9

საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 62-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 28 აპრილის №1797 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 17 იანვრის N2477/01 მიმართვისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2018 წლის 17 იანვრის თანხმობის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 12 ოქტომბრის N127 ბრძანება.
3. ბრძანების ასლი გადაეცეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ადმინისტრაციულ და საფინანსო დეპარტამენტებსა და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, მისამართი: თბილისი, თამარაშვილის ქ .№ 15ა;
5. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

ირაკლი უჯმაჯურიძე

დირექტორი

დანართი

სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები			
საშტატო ერთეული			
თანამდებობრივი იერარქია	**თანამდებობის დასახელება**	**რიცხოვნობა**	**ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
	დირექტორი	1	3 900
II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	პროგრამების მენეჯერი	1	1 700
I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	ფინანსური მენეჯერი	1	1 300
	იურისტი	1	1 300
	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	1	1 300
II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	საქმისწარმოების სპეციალისტი	1	1 000
	საარსებო წყაროების კოორდინატორი	1	1 100
I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	ბუღალტერი	1	700
	სულ:	8	12 300

შტატგარეშე ერთეული

თანამდებობის დასახელება	**რიცხოვნობა**	**ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი	1	1 000
მძღოლი	1	1 000
საველე ოფიცერი	3	1 000
სულ:	5	5 000